

იაგო ხვიჩია

ქალაქი [REDACTED] + [REDACTED]
[REDACTED] [REDACTED]

სამუშაო გამოცდილება

- 2022 – დღემდე
საპროკურორო საბჭოს წევრი
- 2020 – დღემდე
საქართველოს პარლამენტის წევრი
- 2014 – 2016
იურიდიული კომპანია „Tbilisi Legal Consulting”
დამფუძნებელი, პარტნიორი
- 2013 – 2018
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
ლექტორი, სამართლის სკოლის ადმინისტრაციული სამართლის კლინიკის ხელმძღვანელი,
ასისტენტ პროფესორი
- 2009 – 2012
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო
იურიდიული სამსახურის უფროსი
- 2007 – 2009
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის განყოფილების
უფროსი
- 2006 – 2007
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური, იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილე
- 2005 – 2007
თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური
იურისტი

2005 – 2006

ა.ა.ი.პ. საქართველოს ავტორთა საზოგადოება

იურისტი

2004 – 2005

ა.ა.ი.პ. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ლიცენზირებისა და ნებართვების დანერგვის პროექტი, იურისტი

განათლება

1999 – 2004

სამართალმცოდნე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი

2011

გაცვლითი პროგრამა „ღია სამყარო 2011“, ორგანიზებული აშშ-ს კონგრესის მიერ (ვაშინგტონი, აშშ)

2009

ტრენინგ-პროგრამა „უმრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების მომზადება“, შვედეთის სარეგისტრაციო სამსახური (სტოკჰოლმი, შვედეთი)

2006

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სერტიფიკატი-საერთო სპეციალიზაციით

2000 – 2011

სხვადასხვა ტრენინგ-სემინარები და მიღებული სერთიფიკატები თემებზე: ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; ლიცენზირება და ნებართვების გაცემა; ადმინისტრაციული სამართლის კურსი; საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობა; საჯარო ინფორმაციის გაცემა და სხვ

ბიოგრაფია

1999-2004 წლებში ვსწავლობდი სამართალმცოდნეობას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ დროს შევისწავლე სახელმწიფოსა და სამართლის (მათ შორის საბჭოთა) თეორიული საფუძველი და პრინციპები, ვისწავლე, რას ნიშნავს და როგორ მუშაობს მართლმსაჯულების სისტემა და რა როლი აქვს (უნდა ჰქონდეს) ამ სისტემაში მის თითოეულ მოთამაშეს, იქნება ეს მოსამართლე, პროკურორი თუ ადვოკატი. ერთ ათწლეულზე მეტი ვიმუშავე ამ სპეციალობით სხვადასხვა პოზიციაზე, როგორც საჯარო სამსახურში, ისე კერძო სექტორში. მონაწილეობა მიქვს მიღებული 1000-მდე სასამართლო პროცესში.

2006-2012 წლები საჯარო სამსახურში განსხვავებულ პოზიციებზე გავატარე. ბოლო წლებში ვიყავი საჯარო რეესტრის იურიდიული სამსახურის უფროსი და ვმონაწილეობდი თითქმის ყველა პროექტში, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა.

2013-2018 წლებში ლექციებს ვკითხულობდი თავისუფალ უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ სამართალზე და პარალელურად ვიყავი ამ დარგის პრაქტიკოსი იურისტი.

2015 წლიდან, მას შემდეგ, რაც დავრწმუნდი, რომ ჩემი პროფესია ისეთი არ იყო, როგორც წარმომედგინა, გადავწყვიტე პოლიტიკაში წავსულიყავი და ამ პოზიციიდან მეცადა რამის შეცვლა ჩემს პროფესიაში.

ჩემი მთავარი მიზანი, საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის ნაცვლად, ახალი ადამიანური სისტემის აწყობაა.

თავისუფალი ადამიანების საზოგადოებაში ცხოვრებაზე ვოცნებობ, აქედან გამომდინარე, ვცდილობ ჩემი ყველა საქმე მიმართული იყოს ერთი ადამიანის, ინდივიდის თავისუფლების გაფართოებისკენ.

როგორ ვუყურებ სახალხო დამცველის ინსტიტუტს:

სახალხო დამცველი უნდა ეხმარებოდეს პარლამენტს საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში, რომელიც შეეხება აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს.

თავისი შინაარსით, ეს პოლიტიკური თანამდებობაა. თუმცა, იმის გამო, რომ პოლიტიკოსებს სახალხო დამცველობა აკრძალული აქვთ, ტრადიციულად, ამ ადგილას ე.წ. ენჯეო სექტორის წარმომადგენლებს ნიშნავენ.

მე პოლიტიკოსი ვარ, გამოკვეთილი პოლიტიკური პოზიციით. შეუძლებელია, არჩევის მომენტიდან იმისგან განსხვავებული პოლიტიკური რწმენა გამიჩნდეს, რაც

არჩევამდე მქონდა, თუმცა რასაკვირველია, ვიქნები ყველა იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, ვინც ამის სურვილს საკუთარი მხარდაჭერით გამოხატავს.

რადგან კოლეგებს მხარდაჭერას ვთხოვ, აუცილებელია, მათ იცოდნენ ჩემი დამოკიდებულება იმის მიმართ, რაშიც მხარდაჭერას ვთხოვ.

ჩემი აზრით, ნორმალურ სიტუაციაში, სახალხო დამცველი საერთოდ არ უნდა არსებობდეს. როცა სამართლიანი სასამართლო არსებობს, ადამიანის უფლების დაცვაზე ეფექტიან კონტროლს ის ახორციელებს. სახალხო დამცველის ინსტიტუტი კი აქტუალური რჩება იმ დრომდე, სადამდეც სასამართლოს მიმართ არსებობს შეკითხვები. ვფიქრობ, სწორედ ამ მოტივით მოხვდა ეს საკითხი ე.წ. 12 პუნქტიან გეგმაში არსებულ სასამართლო სისტემის კრიტიკასთან ერთად.

მე სახალხო დამცველის საქმედ არ მიმაჩნია მოქალაქეებს შორის კონფლიქტში ჩარევა და მასზე მოსაზრებების გამოთქმა. სახალხო დამცველის ინტერესის ობიექტი მხოლოდ სახელმწიფო სისტემის მხრიდან ადამიანების უფლებების დარღვევის შემთხვევები უნდა იყოს. როგორც სახალხო დამცველი, ყურადღებას მივაპყრობ სამი ძირითადი უფლების (სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება) დარღვევის შემთხვევებს სახელმწიფო სისტემის მხრიდან.

ჩემი არჩევის შემთხვევაში, სახალხო დამცველის საქმიანობაში განხორციელდება ორი მთავარი ცვლილება:

1. სახალხო დამცველის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება ადამიანის თავისუფლების აღკვეთის საკითხები.
2. დამთავრდება იდენტობის პოლიტიკის მეშვეობით ადამიანთა ჯგუფებად დაყოფა და მათთვის სპეციალური „უფლებების“ გამოგონება, რადგან ადამიანები უფლებრივად თანასწორნი არიან, მიუხედავად ყველაფრისა.